ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება! აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
საოქტომბრო მოწოდებებიდან



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 210
(4460)
20 ოქტომბერი,
ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ევროპის ტანმოვარჯიშე ქალთა VIII ჩემპიონატში საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს: ყველა ოქროსა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. მრავალჭიდში პირველობა გაიყვეს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ტურიშჩევამ (გროზნო) და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში გამარჯვებულმა თ. ლაზაკოვიჩმა (ვიტებსკი).

ამ სურათებზე თქვენ სწორედ მათ — ევროპული ჩემპიონატის ოქროს ლაურეატებს ლ. ტურიშჩევასა (მარჯვნივ — დვირზე) და თ. ლაზაკოვიჩს (ორძელზე) ხედავთ.

ვ. გალაქტიონოვის ფოტოები.

45 საზეიმო წუთი

ამ დღეებში თბილისის მწვრთნელთა სკოლაში ერთი საზეიმო ცერემონია მოეწყო: 106 პირველკურსელმა „ამხანაგების, პედაგოგებისა და აღმზრდელთა წინაშე" საზეიმოდ დადო ფიცი:

„1). თანმიმდევრულად და ღრმად დავეუფლოთ არჩეულ სპეციალობას, აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა გავხდეთ კარგი სპეციალისტები, კარგი მწვრთნელები, ვიყოთ საყვარელი საქმის ერთგულნი, შევძლოთ ღირსეული ცვლის აღზრდა".

ეს პუნქტი კიდევ შეიძლება გაფართოვდეს. შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში გაჩაღებულია ნამდვილი სპორტული მეტოქეობა... ნიშნებისთვის. მაგალითად, შარშან რუსული სექტორის III კურსის „ბ" ჯგუფმა (მამასახლისი ვ. ბახი) მესამედ მოიპოვა „ლენინურად სწავლისა და შრომის" ჯგუფის სახელი. ამ მეგობრულ ჯგუფში 8 ფრიადოსანი და საქართველოს დოსააფის ნაკრები გუნდის 14 წევრი იყო. უკრაინის ქალაქ შახტში მუშაობს მწვრთნელთა სკოლის აღზრდილი — სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ვ. ხარაზოვი. ისე მუშაობს, რომ მისი აღსაზრდელები ქალაქში საუკეთესონი არიან. თბილისში, სახალხო განათლების განყოფილების მძლეოსნურ სპორტსკოლაში კარგად საქმიანობს მწვრთნელთა სკოლადამთავრებული ი. აგაპოვი.

... „2). ვფიცავთ ვიყოთ სკოლაში ჩამოყალიბებული შრომითი ბრიგადების აქტიური წევრები და ჩვენი გულმოდგინე მუშაობით წვლილი შევიტანოთ საერთო საქმეში".

აი, ამ სიტყვების დამადასტურებული ფაქტი: 1971 წლის 10 აგვისტოს მწვრთნელთა სკოლის კომკავშირულ-სამშენებლო რაზმი ბორჯომის № 1 სამშენებლო სამმართველოს (მე-12 ტრესტი) საპატიო წიგნში შეიტანეს.

... „3). სისტემატურად ავიმაღლოთ ოსტატობის დონე, არ დავჯერდეთ მიღწეულს სპორტში, მუდამ მივილტვოდეთ ახალ-ახალი მწვერვალებისკენ, წარმატებამ არ გაგვაყოყოჩოს".

დავასახელებ მწვრთნელთა სკოლის მხოლოდ რამდენიმე აღზრდილს: ტ. ალიბეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) და ლ. ასატუროვა (მშვილდოსნობა) სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. ამ დიდ ასპარეზობაში ჩასათვლელი ქულები მოგვცა მოცურავე ი. ზოტოვამაც.

სკოლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მისი დირექტორის ა. ნემსაძის ენერგიულ მუშაობას. ტრადიცია კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ფიცის დადების შემდეგ დიდი გარჯა მართებთ პირველკურსელებს: სპორტის ოსტატებს გ. კლიშინას (ფრენბურთი) და შ. მარტინიანს (კრივი), პირველთანრიგოსან დ. დოკვაძეს (ველოსპორტი), აგრეთვე, ვ. მეფარიძესა და ო. ჩერნიშოვას, რომლებიც ფიცის ტექსტს კითხულობდნენ.

პირველკურსელებს მიესალმნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორმა ა. მელიამ, სპორტის ვეტერანებმა შ. გორგასლიძემ, ს. კორძაიამ, ევროპის ჩემპიონმა ძიუდოში ფ. მარტყოფლიშვილმა.

ვ. ბუკინი.

• • •

სურათებზე: ფიცის დადების მომენტები.

ავტორის ფოტოები.



უფრთხილდით ცაიტნოტს!

საქართველოს ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზი. 18 ოქტომბერი. IX ტური. ი. ტიმანი (ჰოლანდია) — ნ. რადევი (ბულგარეთი) 0:1, ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — ფ. პორტიში (უნგრეთი) 0:1, ნ. გაფრინდაშვილი — თ. გიორგაძე 0,5:0,5, ე. უბილავა — ბ. გურგენიძე (ყველა — თბილისი) 1:0, ბ. ბედნარსკი (პოლონეთი) — ე. გუფელდი (თბილისი) 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ლ. ნავაროვსკი (უნგრეთი) 0,5:0,5, ი. პშიბლი (ჩეხოსლოვაკია) — ნ. ალექსანდრია (თბილისი) 1:0.

ნავაროვსკი თამაშის განუახლებლად დანებდა უბილავას VII ტურიდან გადადებულ პარტიაში, პორტიში — ტიმანი ყაიმზე შეთანხმდნენ VIII ტურის შეხვედრაში.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. გიორგაძე — 6,5 ქულა, ვ. ბაგიროვი — 5,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ფ. პორტიში — 5 (1), ბ. გურგენიძე — 5.

რა არის ცაიტნოტის მიზეზი? ეს კითხვა პოლონელ მოჭადრაკესა და ფილოსოფოსს ბედნარსკისაც აწუხებს. მას ძალიან ხშირად აკლდება დრო სვლების მოფიქრებისთვის. ცაიტნოტმა მემორიალშიც წააგებინა რამდენიმე პარტია. მაგრამ ახლა ბედნარსკიმ მიაგნო ცაიტნოტისგან თავის დაღწევის გზას: როგორც კი პოზიცია უკიდურესობამდე გამწვავდება, მეტოქეს... ყაიმზე უთანხმდება. ასე მოიქცა იგი IX ტურში, როცა გუფელდს საინტერესო პოზიციაში დაუზავდა.

— ცაიტნოტი ან გაუბედაობის მიზეზია, ან უცოდინარობის, ან ზედმეტი ემოციურობისა, — ამბობს ბედნარსკი. — ყველაფერი ეს დროს მოითხოვს, ჩვენ კი იგი გამორწყულად გვეძლევა. თუ მოჭადრაკე ამ სისუსტეებს დაძლევს, ცაიტნოტშიც არასოდეს მოხვდება. ამის მაგალითად ფიშერიც კმარა.

მოდით, გურგენიძისა და ალექსანდრიას დღევანდელ წაგებას პოლონელი სწავლულის კონცეფციის მიხედვით გადავხედოთ (ორივე ცაიტნოტში აღმოჩნდა და საკონტროლო სვლების გაკეთება ვერც ერთმა ვერ მოასწრო).

ვ. გოგლიძის
მემორიალი
თბილისი-71

გურგენიძე მთელი საღამო თავდადებით იბრძოდა. არც უბილავა უდებდა ტოლს. თამაშის პროცესში ახალ-ახალი პრობლემები ჩნდებოდა და მათი გადაწყვეტა, ცხადია, მოსაფიქრებელ დროს მოითხოვდა. მაგრამ მეტოქენი უყაირათოდ ხარჯავდნენ დროს და ბოლოს, რა თქმა უნდა, ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. დიდოსტატმა უკეთ ითამაშა და გამარჯვებაც მას უნდა დარჩენოდა, მაგრამ ცაიტნოტში ვერ მოასწრო საკონტროლო, მე-40 სვლის გაკეთება.

ალექსანდრია ჩვეული სიხალისით უტევდა პშიბლის ცენტრს, უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ყოველივე ამას დიდი დრო დასჭირდა. ნანა მაშინაც განაგრძობდა მოგებაზე თამაშს, როცა პოზიციის მიხედვით ყაიმზე შეთანხმება აჯობებდა. როგორც ჩანს, მას დაენანა „ოფლით და ჯაფით" მოპოვებული უპირატესობის ასე ადვილად დათმობა. ალექსანდრია ჩქარობდა, მაგრამ პაიკი მაინც მოიგო და აი, 32-ე სვლაზე მას ალამი ჩამოუვარდა. გულდასაწყვეტი წაგებაა!

ცაიტნოტი ჩაერია ტიმან — რადევის შეხვედრაშიც. ჰოლანდიელმა მოხდენილი კომბინაცია წამოიწყო, ეტლი შესწირა, მაგრამ დროის ნაკლებობის გამო მთავარი ვარიანტის გაანგარიშება ვეღარ შეძლო. ამიტომ მახვილი აზრი ცაიტნოტს შეეწირა. ტიმანს გაპარტახებული პოზიცია შერჩა.

ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა უიტუმენ — პორტიშის შეხვედრაშიც. ფრანგულ დაცვაში მონღოლმა მოჭადრაკემ უზუსტობა დაუშვა. პორტიშმა ხელთ იგდო ინიციატივა და მეფის ფრთაზე გაშუდმებული შეტევით გაიმარჯვა.

სხვა პარტიებში ბრძოლა უხალისო და უფერული იყო.

თ. გიორგაძე.



დ. ერისთავი. „სტადიონი".

გამოფენაზე

ამ დღეებში თბილისი დიდი ჩოგბურთით ცხოვრობდა. მტკვრის სანაპიროსთან მწვანეში ჩაფლულ საჩოგბურთო კორტებზე მძაფრი ჭიდილი ჰქონდათ გაჩაღებული პირველობისთვის საბჭოთა კავშირის საუკეთესო ჩოგბურთელებს. მაყურებელთა შორის შენიშნავდით ბევრ მხატვარს, მოქანდაკეს, ჭედური ხელოვნების ოსტატს. თითქოს ეს ამბავი ჩვეულებრივია (ქართველ კაცს ხომ თავდავიწყებით უყვარს სპორტი), მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობაზე იკრიბება ის ძვირფასი, ჩვეულებრივი თვალისთვის ხშირად შეუმჩნეველი დამახასიათებელი დეტალები, რომლებიც შემდეგ ხელოვნის სახელოსნოში დინამიკურ სპორტულ სურათებად ცოცხლდება.

იყო დრო, როცა ჩვენ გარკვეული პრეტენზია გვქონდა ყალმისა და საჭრეთლის ოსტატების მიმართ. მხედველობაში გვაქვს სპორტული თემა. რა დასამალია, ზოგიერთი მათგანი შეგნებულად „გაურბოდა" ამ პოპულარული და სანახაობითი სფეროს გაშუქებას. საქმე ისაა, რომ მხატვარსა და მოქანდაკეს უნდა გადმოეცათ სპორტსმენის რთული ფსიქოლოგიური სამყარო. იქნებ სწორედ ამ ამოცანის სირთულე, სიღრმე, მნიშვნელობა განაპირობებდა ჩვენი ოსტატების ერთგვარ გულგრილ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი დარგის მიმართ.

საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში ეს ტენდენცია აღარ შეიმჩნევა.

ჩვენი წერილის დასაწყისში ჩოგბურთელთა შეჯიბრებაზე მოგახსენებდით. ამიტომ გვინდა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი სპორტული ნამუშევრებიდან თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ახალგაზრდა მხატვრის ნ. მესხიძის ფერწერულ ტილოზე „ჩოგბურთელები".

ჩოგბურთი ზედმიწევნით ინტელექტუალური, „რბილი", სასიამოვნო სპორტია. ეს კარგად ჩანს მესხიძის ნამუშევარში. ასეთი სურათი არ იქმნება ერთი და ორი დღის დაკვირვების შედეგად. იგი გახლავთ ნაყოფი მრავალი წლის ფიქრისა, თუ გნებავთ, ანალიზისა. სწორედ ამიტომაც სურათში გაცოცხლებული ტანმოლტილი ნორჩი გოგონების პოზა ჩოგბურთის მოყვარულთათვის ნაცნობი და გასაგებია. ეს გოგონები ჰგვანან ბალერინებსაც, „პირველ ბალზე" მისულ მორცხვ ქალიშვილებსაც. და მაინც, ისინი ჩოგბურთელები არიან ტერფიდან თხემამდე. ასე გამოიყურებიან მხოლოდ ჩოგნის ახალბედა მიმდევრები. მხატვარს ცდა არ დაუკლია, რომ გოგონების ჯგუფისთვის მიენიჭებინა ის ენით გამოუთქმელი პოეტური სინაზე, რომელსაც იძლევა სინორჩე, გამრავლებული ლამაზი სპორტით მინიჭებულ პლასტიკურობასა და სინატიფეზე.



გ. აფხაიძე. „რეგბი".

ზ. ნიჟარაძე ერთ-ერთი ფრიად ნიჭიერი შემოქმედი გახლავთ, ვის ნამუშევრებსაც ხელოვნების ყველა მოყვარული იცნობს. მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ გამოფენაზე ვიხილეთ სპორტულ თემაზე შექმნილი მისი ახალი ნამუშევარი „აკრობატები". ამჯერად ჩვენ სურათის პროფესიულ ანალიზს ვერ შევუდგებით. ვფიქრობთ, ნიჟარაძის ნახატი იმდენად საგულისხმო და საინტერესოა, რომ მას უფრო ვრცლად მიმოიხილავენ კრიტიკოსები...

სურათზე ვხედავთ ორ ნორჩ აკრობატს. მათი მოძრაობა ტიპიურია სპორტის ამ თავისებური სახეობისთვის. ერთი ყირამალა დამდგარა, მეორე კი თავისი მეგობრის „ჯამბაზობას" სალამურის დაკვრით აქეზებს. სიჩაუქე, სიმარდე, გალაღებული სხეულის სიმღერა, ახალგაზრდულ „თავგანწირვასთან" და „თავდავიწყებასთან" შეერთებული მეტად ექსპრესიულ სანახაობას ქმნის. სურათის პოეტურ გარემოს თითქოს განსაკუთრებით ალამაზებს სალამურიანი. და ჩვენთვის ერთბაშად გასაგები ხდება, რატომ აირჩია მხატვარმა სურათის გმირებად აკრობატები, ხოლო გარემოდ აკრობატიკა, რომელიც ძალასთან და მოხერხებასთან ერთად სინაზესაც გულისხმობს. იატაკზე დაგებული ჭრელი ნოხი, ფერადი ფარდა (იქნებ ამ ასოციაციით მხატვარი მიგვანიშნებს აკრობატიკის შორეულ წინაპარზე, რომელსაც ხალხური სანახაობის მნიშვნელობა ჰქონდა), აკრობატის ყირა, ფორტეპიანო, რომელიც სალამურს შეუცვლია... დიახ, ეს არის აკრობატიკა!

მხატვარი, რომელიც სხვებს არ ჰგავს, ჩვენი აზრით, ეს ძუნწი ფრაზა ზედგამოჭრილია ნიჭიერი მხატვრის დ. ერისთავის მიმართ. მართლაც, არც ერთი მხატვრის ნამუშევარს არ ჰგავს მისი „სტადიონი". თვით სურათის სახელწოდება სიმბოლური გახლავთ, რადგანაც თავად სტადიონს ვერ ვხედავთ, მაგრამ დიდი მწვანე მინდვრის, ტრიბუნების სუნთქვა სურათის ყველა დეტალში იგრძნობა. ჩვენ ვხედავთ სპორტული სანახაობის შემოქმედთ, სტადიონის „ბინადრების" — სპორტსმენთა ჯგუფს. სპორტსმენთა რიგებში შეჭრილა გამხდარი, სათვალიანი გოგონა, რომელსაც ვიოლინო უპყრია ხელთ. ეს კონტრასტი სასიამოვნოდ ახალისებს სურათს, უფრო შთამბეჭდავს ხდის, ანიჭებს ლირიკულ შინაარსს, რომელსაც ალბათ ყველა მნახველი თავისებურად აღიქვამს.

„რეგბი" — ასე ჰქვია გ. აფხაიძის ჭედურ ნამუშევარს. მასში მნახველი ცხადად შეიგრძნობს სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ღირსებას. დიახ, რეგბი მკაცრი და ამიტომაც მკვეთრად გამოხატული „მამაკაცური" სპორტი გახლავთ. სწორედ ამის თქმა უნდოდა ლითონმქანდაკებელს. რეგბისტი ჯიქურ მიიწევს მიზნისკენ ბურთით ხელში. თავგანწირულ ნახტომში მოწინააღმდეგის შეჩერებას ლამობს მეორე გუნდის რეგბისტი. რით დამთავრდება მათი უშეღავათო ჭიდილი?..

ერთი სიტყვით, საიუბილეო გამოფენამ დიდი სიამოვნება მიანიჭა ფერწერის, გრაფიკის, სახვითი ხელოვნების მოყვარულებს, და, კერძოდ, სპორტის გულშემატკივრებსაც.

ა. გოგელია.

ლაპარაკობენ პრიზიორები

• •

ჩემპიონატის საზეიმო დახურვა

ლენინგრადი, 18 ოქტომბერი. დღეს დილით მოეწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის დასკვნითი, XXI ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრება. ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) სძლია ლ. შტეინს (კიევი), ხოლო ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) — ა. კაპენგუტი (მინსკი), ი. ნიკოლაევსკი (კიევი) — რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) და რ. ვაგანიანი — ქ. გრიგორიანი (ორივე — ერევანი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

ჩემპიონატი დამთავრდა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა:

I. ვ. სავონი (ხარკოვი) — 15 ქულა, II-III. ვ. სმისლოვი (მოსკოვი), მ. ტალი (რიგა) — 13-13, IV. ა. კარპოვი (ლენინგრადი) —13, V-VI. ი. ბალაშოვი, ლ. შტეინი — 12-12,. VII-VIII. დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი) — 11,5-11,5, IX. მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) — 11, X-XI. ნ. კროგიუსი (სარატოვი), ა. კაპენგუტი — 10,5-10,5, XII-XIII. ა. ლეინი (მოსკოვი), ი. პლატონოვი (კიევი) — 10-10, XIV. ე. გელერი (მოსკოვი) — 9,5, XV-XVI. ლ. შამკოვიჩი, ვ. კარასიოვი (ლენინგრადი) — 9-9, XVII-XIX. რ. ვაგანიანი, ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), ი. ნიკოლაევსკი — 8,5-8,5, XX-XXII. რ. ჯინჯიხაშვილი, ქ. გრიგორიანი, მ. ცეიტლინი (ლენინგრადი) — 8-8.

ფინალის საზეიმო დახურვაზე ვ. სავონს ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა, ვ. სმისლოვს — ვერცხლისა, მ. ტალს — ბრინჯაოსი (კოეფიციენტთა ცხრილით მას სმისლოვმა გაუსწრო).

ჩემპიონატის ბევრმა მონაწილემ ლენინგრადის ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები დაიმსახურა.

აი, რა თქვეს პრიზიორებმა:

— იმედი მქონდა, რომ ხუთეულში მოვხვდებოდი, — თქვა სავონმა, — მაგრამ მახსოვდა 37-ე ჩემპიონატი, როცა ლიდერთა ჯგუფში ვიყავი და ფინიშზე ზედიზედ სამი პარტია წავაგე, რის გამოც ვერც დიდოსტატი გავხდი და ვერც პრიზიორი, ამასთან, ვერც საზონათშორისო ტურნირში მოვხვდი.

მქონდა თუ არა ჩემპიონატში მძიმე მომენტები? დიახ. განსაკუთრებით იმ დღეს, როცა დასკვნითი ტურის წინ ვთამაშობდი კროგიუსთან გამოტოვებულ პარტიას. ჩემს თვალწინ გადადებულ პარტიებს იგებდნენ სმისლოვი, კარპოვი, ტალი. მე პარტია მოსაგებ პოზიციაში გადავედი და ვიგრძენი, რომ პირველი ადგილისთვის ბრძოლა შემეძლო.

დიახ, ცოტა იღბალმაც შემიწყო ხელი, კერძოდ ცეიტლინთან პარტიაში, მაგრამ, თუ ბედი არ გწყალობს, პირველ ადგილზე ვერც გახვალ. ეს თითქოს გამარჯვების დამატებითი პირობაა.

ვმუშაობ დამოუკიდებლად, ჩემპიონატში უმწვრთნელოდ ვთამაშობდი. გეგმები? მინდა ალიოხინის მემორიალში დიდოსტატის წოდება დავიმტკიცო და დავამტკიცო, რომ ჩემპიონატში ჩემი წარმატება შემთხვევითი არ არის. მე ალიოხინის პარტიების მიხედვით ვსწავლობდი თამაშს.

— სავონის წარმატება სავსებით დამსახურებულია, — თქვა სმისლოვმა. — მან დაუმარცხებლად განვლო ჩემპიონატი. დიდ ჭადრაკში იგი ახალბედა როდია. უწინ გრძელ დისტანციაზე ვლადიმერს ნერვები ღალატობდა. ამ ჩემპიონატში მან სწორად გაანაწილა ძალები და არა მარტო დიდოსტატის წოდება მოიპოვა, არამედ ყველაზე დიდ წარმატებასაც მიაღწია თავის საჭადრაკო ბიოგრაფიაში.

— არ მეგონა, რომ ორი მედალისტი ჩემპიონატის პირველივე ტურში შეხვდებოდა ერთმანეთს, — განაცხადა ტალმა. — ეს რომ მცოდნოდა, სავონთან უკეთეს ენდშპილში გადავიყვანდი თამაშს. მაგრამ რა ვიცოდი, რომ ქვეყნის ახალ ჩემპიონს ვეთამაშებოდი! შესანიშნავი შედეგები სტარტსა და ფინიშზე, საუცხოო თამაში დიდოსტატთა წინააღმდეგ (11 ქულა 15-დან), ყველაზე მეტი მოგება (9) და არც ერთი წაგება — აი, რამ განაპირობა სავონის გამარჯვება. ეს შემთხვევითი როდია, გულმოდგინე მეცადინეობის ნაყოფია. სავონს შეიძლება ახალგაზრდაც ვუწოდოთ და ბრძოლაში გამობრძმედილიც. მას საკმაო გამოცდილება აქვს.

დასვენების შემდეგ

სოჭი, 18 ოქტომბერი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში დასვენების დღის შემდეგ XI ტური მოეწყო. ლიდერებმა ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) და ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) ვერ დაამთავრეს თავიანთი პარტიები: პირველმა ე. რუბცოვასთან (მოსკოვი), მეორემ — რ. ბილუნოვასთან (მოსკოვის ოლქი).

ენერგიულად ითამაშა მ. რანიკუმ (ტალინი), რომელმაც მოუგო ა. კისლოვას (ომსკი). გაიმარჯვა ც. კობაიძემაც (თბილისი): მან სძლია სსრ კავშირის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონ ტ. ფომინას (ტალინი). სხვათა შორის, მანამდე შეცდომით ვწერდით, თითქოს კობაიძე დამარცხდა ლვოველ მ. შულთან. სინამდვილეში მან ლ. სემიონოვასთან წააგო, შულთან კი მძიმე პოზიციაში გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა.

ტ. ზატულოვსკაიამ (ბაქო) დაამარცხა ე. ბალაშოვა (მოსკოვი), ხოლო ლ. სემიონოვამ (კიევი) — ა. საკოევა (ბაქო).

ყაიმით დამთავრდა ლ. ბელავენეც (მოსკოვი) — ე. კაკაბაძის (თბილისი) შეხვედრა.

11 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ ლევიტინა და კოზლოვსკაია — 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია. ზატულოვსკაიას 7,5 ქულა აქვს, მ. შულს — 7 (1), ლ. სემიონოვას — 7.

ც. კობაიძეს 6 ქულა აქვს, ე. კაკაბაძეს — 4.

სსრ კავშირის პირველობა

• •

ამ კვირის კალენდარი

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში ცვლილებები მოხდა. მკითხველებს ვთავაზობთ მიმდინარე კვირის მატჩების განრიგს: **20 ოქტომბერს** ითამაშებენ „ყაირათი" და „არარატი", **21 ოქტომბერს** — „დინამო" (მინსკი) — „ფახტაქორი", „კარპატი" — „ტორპედო" (მოსკოვი), ხოლო **22 ოქტომბერს** — „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი).

როდ ლეივერი გვირჩევს

„ჩემი ჩოგბურთი — თქვენი მონა-მორჩილი" — ასე ეწოდება წიგნს, რომლის ავტორიც გახლავთ მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი, „დიდი ჩაფხუტის" ორგზის მფლობელი, ავსტრალიელი როდნეი ლეივერი. „დიდი ჩაფხუტი" ეძლევა იმას, ვინც ერთ სეზონში მოიგებს ავსტრალიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატებს (ლეივერმა ეს ჯილდო 1962 და 1969 წლებში მიიღო). ავსტრალიელი ჩოგბურთელი ერთადერთია, ვისაც ორჯერ ხვდა ესოდენ დიდი პატივი.

ლეივერის რჩევა დიდად სასარგებლოა როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის ჩოგბურთელების, ისე იმ სპორტსმენთა ფართო წრისთვის, რომლებიც ოსტატობის სრულყოფისკენ ისწრაფვიან.

● **წვრთნა** — ეს უმთავრესია. როცა დღისით შეჯიბრებაში ვმონაწილეობ, დილით საათნახევრის განმავლობაში ვვარჯიშობ. ასევე ვიქცევი დღისით, თუ საღამოს სარბიელზე უნდა გამოვიდე. რიგითი მოთამაშისთვის ეს შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია პრინციპი. ერთეულთა თამაშებისთვის ამას გარდა აუცილებელია 10-15 წუთის წავარჯიშება უშუალოდ მატჩის წინ.

● **ჩემი** მწვრთნელი ახალგაზრდობაში — ჩარლზ ჰოლისი დაუსრულებლად მიმეორებდა: მატჩის სათამაშოდ გასვლამდე მტკიცედ უნდა გქონდეს განზრახული, რომ 6:0, 6:0 მოიგოო. იგი არ ცდებოდა: აუცილებელია ყველა ბურთის აღებას ეცადო. ყველა მეტოქის ძალა სათანადოდ უნდა შეაფასო.

● **დიდი** მნიშვნელობა აქვს მატჩის წინ გახურებას. მოადუნეთ კუნთები, ერთი-ორი წუთი დაუთმეთ მოთელვას, ირბინეთ ადგილზე. თუ არ გახურდით, შეიძლება კუნთები დაიჭიმოს. მე შევნიშნე, რომ რიგითი მოთამაშეები ძალიან ცოტას ვარჯიშობენ მოწოდებაში. თუ კარგად გახურებული არა ხართ, შეიძლება ხელი ან მხარი დაგეჭიმოთ. ნუ გრცხვენიათ, გულიანად ივარჯიშეთ თამაშის დაწყებამდე, გაიმეორეთ მოწოდება ათჯერ-თორმეტჯერ.

● **თუ** ძალიან ცხელა, მატჩამდე ნახევარი საათით ადრე გადაყლაპეთ მარილიანი აბი. მატჩის დაწყების შემდეგ ამას უკვე აზრი აღარა აქვს. ნუ მოგერიდებათ, თამაშის დროს ქუდი დაიხურეთ — ეს სასარგებლოა. ავსტრალიაში განსაკუთრებით ცხელ დღეებში ქუდს ქვეშ კომბოსტოს სველ ფოთლებს ვიფენდი და, მერწმუნეთ, ეს ძალიან მშველოდა. მე არ მრცხვენია დიდ სიცხეში კისერზე სველი ცხვირსახოცის დაფენისა. მაინცდამაინც ელეგანტური საქციელი არ არის, მაგრამ სიცხე ვეღარ მადუნებს და აღარც მზის დაკვრისა მეშინია.

მატჩის დროს წყლის სმა შეიძლება. ხუთსაათიანი მატჩის დროს ჩემი დოზა ხუთ ჭიქას უდრის. აქედან ორ ჭიქა წყალს მხოლოდ ვივლებ პირში.

● **მატჩის** პროცესში მყისვე დაივიწყეთ ყველაფერი, რაც წინა ქულის მოგებას მოჰყვა. დაივიწყეთ ყველაფერი ამ ბოლო მომენტამდე. სულ ერთია, თუ ცუდად ითამაშეთ, ახლა მაინც ვეღარ უშველით საქმეს, თუ კარგად ითამაშეთ, მით უმეტეს. ეს ვერ დაგეხმარებათ შემდეგი ქულის მოპოვებაში.

● **დარწმუნებული** ვარ, ბევრ ადამიანს გაცილებით უკეთ შეუძლია ტანჯვის ატანა, ვიდრე თავად ფიქრობს. მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვისაც მიაჩნია, რომ მცირე დაღლილობის ან უქეიფოდ ყოფნის დროს თამაშს ორგანიზმისთვის დამღუპველი გართულებები შეიძლება მოჰყვეს. მედიცინის მუშაკები ალბათ არ დამეთანხმებიან, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი მსუბუქი სისუსტე შეიძლება დავძლიოთ და თამაში გავაგრძელოთ.

● **უკვე** ხანში შესული მოთამაშეები ორმაგად დაინტერესებული არიან, რომ პირველივე მოწოდებით კვადრატში მოხვდნენ. მოწოდება დამღლელი დარტყმაა და ამიტომ მიზანშეწონილია პირველი ბურთის ეფექტურად გამოყენება. ამით შეიძლება გასწიო ძალის მნიშვნელოვანი ეკონომია მთელი მატჩის მასშტაბით.

● **ძნელი** მატჩის დროს მოთამაშეს ხშირად ჰგონია, უკვე აღარ შემიძლია მოწოდებაო. ბადე ძალიან შორს, ლამის რამდენიმე კილომეტრს იქით ეჩვენება, ბურთები აღარ ემორჩილებიან, რაღაც გაურკვეველი ტრაექტორიით დაფრინავენ. ამ დროს შეჩერდით, შეწყვიტეთ თამაში.

აღიდგინეთ სუნთქვა, შეცვალეთ ჩოგანი. ნუღარ ესწრაფვით დარტყმის გარეგნულ ელეგანტურობას. მოწოდების დროს გახსოვდეთ, რომ, თუ პირველივე ბურთით კვადრატში მოხვდით, ქულის მოგების სერიოზული შანსი გაგიჩნდებათ. ორმაგი შეცდომის შემდეგ კი ყველა იმედი გადაწურული გაქვთ.

● **ყოველმხრივ** ეცადეთ მოიგოთ პირველი ქულა გეიმში და ორი პირველ პარტიაში. იმის მტკიცებას ვერ დაგიწყებთ, მატჩში მოგება უკვე განაღდებული გაქვთ-მეთქი, მაგრამ ეს ქულები ჩვეულებრივ გამანადგურებლად მოქმედებენ მეტოქის ფსიქიკაზე.

● **კარგად** შესრულებული ჩაჭრა იერიშისთვის შედარებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის. როცა ტრიალს იწყებს, ბურთი დამატებით სისწრაფეს იძენს, ჩაჭრის დროს კი იგი ამასთან ყოვნდება კიდეც. ამ შემთხვევაში მოთამაშე დროს იგებს და ბადესთან პოზიციის შერჩევის შესაძლებლობა ეძლევა.

● **მარჯვენა** ხელით მოთამაშე ჩოგბურთელისთვის მოწოდების ჩაჭრის ყველაზე უკეთესი ხერხია ბურთის მსუბუქად აგდება თავიდან მარჯვნივ. ამ შემთხვევაში ჩოგანი ოდნავ ეხება ბურთის მარჯვენა მხარეს და მას საჭირო ძალით ატრიალებს. ცაციამ ბურთი მარცხნივ უნდა ააგდოს და დაუმატოს მსუბუქი ტრიალი ხელის მტევნით.

● **წყვილთა** შეხვედრის დროს ხანში შესულები უკეთ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. წყვილთა თამაში ის ხელოვნებაა, რომელიც მოითხოვს თავშეკავებას, ეშმაკობას, თვითკონტროლს, ნებისყოფას. ზარმაცებსა და უსაქმურებს იშვიათად რგებიათ წარმატება წყვილთა თამაშში.

● **წყვილთა** თამაშში სავალდებულო არ არის „ყუმბარისებური" მოწოდება იცოდე. პირიქით, ასეთი მოწოდება თავისებური ჰანდიკაპიც კია, რადგან ნაკლებ დროს უტოვებს მოთამაშეს ბადესთან პოზიციის დასაკავებლად.

● **მე** ცაცია ვარ და ჩვეულებრივ კორტის მარცხენა მხრიდან ვთამაშობ. ჩემი აზრით, მარჯვნიდან მოთამაშე ცაციას მუდამ ნაკლებად სასურველ პირობებში უხდება ასპარეზობა, ვინაიდან იძულებულია მეტოქის მოწოდება ჩახვეული დარტყმით მიიღოს.

ზოგიერთი ძლიერი მოთამაშე სხვა აზრისაა. მათ მიაჩნიათ, რომ მარჯვნიდან მოთამაშე ცაციას (ისევე როგორც მარჯვენა ხელით მოთამაშეს მარცხნიდან თამაშის დროს) უპირატესობა ექმნება ჰაერში დაკიდებულ ბურთზე მიწაზე დაუშვებლად დარტყმის დროს. ეს დარტყმა უფრო დამაჯერებელია შუა კორტიდან, რომელიც წყვილთა თამაშში მოედნის ყველაზე გამოსაყენებელი ნაწილია და ორივე პარტნიორს საშუალებას აძლევს გამოიყენონ უფრო ეფექტური დარტყმა მარჯვნიდან.

● **როცა** სატურნირო პრაქტიკის საკითხებზე ვმსჯელობთ, საკამათო არ უნდა იყოს სრული მორჩილება მსაჯის გადაწყვეტილებისადმი. ამას დასაბუთება არ სჭირდება. რასაკვირველია, უდავოა ისიც, რომ მსაჯიც ადამიანია და მასაც შეიძლება შემთხვევით შეცდომა მოუვიდეს. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ის ჩოგბურთელები, რომლებიც მსაჯის შეცდომების გამოსწორების მიზნით დემონსტრაციულად უბრუნებენ ქულას მეტოქეს, უფრო აქტიორებს ჰგვანან, ვიდრე ჩოგბურთის მოთამაშეებს.

„სპორტ ზა რუბეჟომ", № 18, 1971 წ.

ა. დმიტრიევა

თ. ლეიუსი



ა. მეტრეველი



ა. ხანგულიანი

ფანქრითა და ფოტოაპარატით ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე

თბილისში ახლახან დამთავრებულ ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე ყოველდღე ზღვა ხალხი იყრიდა თავს. ჩემპიონატის ბოლო ორ დღეს კი, როცა ფინალური მატჩები გაიმართა, ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. აი, ერთ-ერთ სურათზე ლეიუსი სწორედ მაყურებელთა ფონზეა გადაღებული. ხალხს ტრიბუნები რომ არ ეყო, ზოგმა ხეზეც მოიკალათა.

ეს ინტერესი არცაა გასაკვირი. პირველ საბჭოთა ჩოგანს ა. მეტრეველს თბილისში ბევრი, ძალიან ბევრი ქომაგი ჰყავს. საერთოდ, თბილისელებს უყვართ ჩოგბურთი, კარგად იცნობენ საბჭოთა ჩოგბურთის მოწინავე წარმომადგენლებს და მათი თამაშის ობიექტური შემფასებლებიც არიან. ამიტომ იყო, რომ კარგა ხნის შესვენების შემდეგ კორტზე გამოსულ მოსკოველ ა. დმიტრიევასა და კიეველ გ. ბაკშეევას ტაშით შეხვდნენ, გულთბილად მიულოცეს აბსოლუტური ჩემპიონობა მოსკოველ ო. მოროზოვას, ვაჟთა წყვილებში პირველობის მოპოვება ბაქოელ ს. ლიხაჩოვს...

აქ დაბეჭდილი ერთი მეგობრული შარჟი კი ა. მეტრეველის აღმზრდელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. ხანგულიანს ეძღვნება. ამ კაცმა თავის დროზე ფასდაუდებელი ამაგი დასდო მეტრეველს და ახლაც მზრუნველობას არ აკლებს. არც აღზრდილი რჩება მასთან ვალში: მან ხომ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე არაერთი წარმატება იზეიმა და ამ ზეიმის მონაწილე გახადა თავისი ყველა ქომაგი.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა წლევანდელ ჩემპიონატში სამივე თანრიგში გამარჯვება მოიპოვა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მეტრეველი ამჯერად ძალიან შეუძლოდ გრძნობდა თავს, მაგრამ პირველობა არავის დაუთმო.

გ. ფირცხალავას ნახატები.
ა. კოტორაშვილისა და
მ. ზარგარიანის ფოტოები.



ს. ლიხაჩოვი



გ. ბაკშეევა



ო. მოროზოვა

იალტა. მეკლდეურობაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტმა ვ. მარკელოვმა. 100-მეტრიანი დისტანცია მან შესანიშნავ დროში — 7 წუთსა და 57 წამში დაფარა.

სურათზე: ვ. მარკელოვი შეჯიბრების დროს.

ი. ილიენკოს ფოტო (საკდესი).

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პეტროსიანი — ფიშერი 2,5 : 3,5

ბუენოს-აირესი, 19 ოქტომბერი. დიდი ინტერესი გამოიწვია ტ. პეტროსიან (სსრ კავშირი) — რ. ფიშერის (აშშ) მატჩის გუშინ გადადებული, VI პარტიის დამთავრებამ. „სან-მარტინის" თეატრი კვლავ ჭადრაკის მოყვარულებით იყო სავსე.

პეტროსიანმა მთავარ მიზნად ეტლების გაცვლა დაისახა, რითაც საყაიმო პოზიციის მიღების რეალური შანსი ექმნებოდა. მაგრამ ფიშერი გაცვლას თავს არიდებდა, თან მეფით თეთრების ბანაკში შეჭრას ლამობდა. როცა მან თეთრ გვირგვინოსანზე იერიში ეტლი ჩაბა, პეტროსიანმა ორ პაიკში მხედარი დათმო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოსავალი, მაგრამ უკეთესი გზა არ ჩანდა. ამერიკელმა დიდოსტატმა მოსაგები პოზიცია მიიღო.

პარტიის ფინალში ფიშერმა მეტოქის მეფე საშამათო ქსელში გააბა.

გთავაზობთ VI პარტიის დაბოლოებას (გადადებამდე სვლები იხ. „ლელოს" წინა ნომერში).

ფიშერი



პეტროსიანი

42. მe2 (ჩაწერილი სვლა) 42. ... კa5 43. ეb2+ მფ:a6 44. ეb1 ეc7 45. ეb2 კe1 46. f3 მფa5 47. ეc2 ეb7 48. ეa2+ მფb5 49. ეb2+ კb4 50. ეa2 ეc7 51. ეa1 ეc8 52. ეa7 კa5 53. ეd7 კb6 54. ეd5+ კc5 55. მc1 მფa4 56. ეd7 კb4 57. მe2 მფb3 58. ეb7 ეa8 59. ე:h7 ეa1 60. მ:d4 ed 61. მფ:d4 ეd1+ 62. მფe3 კc5+ 63. მფe2 ეh1 64. h4 მფc4 65. h5 ეh2+ 66. მფe1 მფd3. თეთრები დანებდნენ.

ერთსულოვნად გმობენ

ბუენოს-აირესი, 18 ოქტომბერი. დღევანდელი გაზეთები წერენ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის VI პარტიის წინ მომხდარ ამბავზე: ხულიგნებმა პარტერში გაზის ბურთულები ისროლეს. დამავდა მხოლოდ თარჯიმანი, რომელსაც რამდენიმე ადგილას დაეწვა ხელი.

პოლიციამ დარბაზში კიდევ რამდენიმე ათეული ასეთი ბურთულა აღმოაჩინა, რომლებიც არ გამსკდარა.

მთავარი არბიტრი მზად იყო შეეწყვიტა მატჩი, მაგრამ ტ. პეტროსიანისა და რ. ფიშერის რეაქციას დაელოდა. მოჭადრაკეებმა, რომლებსაც არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამთ, დანიშნულ საათამდე განაგრძეს თამაში.

არგენტინული პრესა ერთსულოვნად გმობს პროვოკაციას. გაზეთი „კლარინი" წერს, რომ მათ, ვინც ეს აქცია ჩაიდინა, შეარცხვინეს ქვეყანა და ღირსი არ არიან არგენტინელებად იწოდებოდნენ.

რამდენიმე სტრიქონით

✦ ყვარელი

„კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ თავისი სპარტაკიადა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა.

ზ. ჯანიკაშვილი.

✦ ხობი

1-ელ საშუალო სკოლაში გაიმართა რაიონის განათლების მუშაკთა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი დაიკავა ამ სკოლის მასწავლებელმა გ. კვარაცხელიამ.

ზ. სერგია.

✦ ხელვაჩაური

კომკავშირის რაიკომის ინიციატივით მოეწყო შეჯიბრებები ფრენბურთში, ხელბურთსა და ფეხბურთში. ღონისძიება, რომელშიც სასოფლო საბჭოების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. სამივე სახეობაში პირველნი იყვნენ გონიოელთა კოლექტივები.

ო. მურვანიძე.

მეტოქეთა სავიზიტო ბარათები

ევროპულ საფეხბურთო ტურნირებში თამაშს განაგრძობს სსრ კავშირის სამივე გუნდი — ცსკა, მოსკოვის „დინამო" და „სპარტაკი".

ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გაეცნონ საბჭოთა გუნდების მეტოქეების სავიზიტო ბარათებს.

„ესქიშეპირსპორი"

(ესქიშეჰირი, თურქეთი)

სტამბოლიდან დაახლოებით 200 კილომეტრზე მდებარეობს თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრი ესქიშეჰირი. ფეხბურთის კლუბი აქ სულ რამდენიმე წელია შეიქმნა და ახლა, როგორც ხედავთ, წამყვან ძალად იქცა თავის ქვეყანაში. გუნდის ხელმძღვანელად მაშინ მოუხმეს ცნობილ იუგოსლაველ მწვრთნელს ა. გეგიჩს, რომელსაც ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმოუჩინეს და თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს. გეგიჩმა შექმნა კოლექტივი, რომელიც სულ ცოტა ხანში შეუერთდა თურქეთის მოწინავე კლუბებს — „ფენერბაჰჩეს", „გალათასარაის" და „ბეშიქთაშს". ყველა საპატიო პრიზისთვის ბრძოლა ახლა თურქეთში ამ კლუბებს შორის წარმოებს. კიდევ მეტიც: როცა გეგიჩმა თურქეთის ნაკრები დააკომპლექტა, მისი ბირთვი „ესქიშეჰირსპორის" ფეხბურთელებმა შეადგინეს.

წლეულს გეგიჩი სამშობლოს დაუბრუნდა და გუნდი ა. მატაის გადააბარა. „ესქიშეჰირსპორმა" წარმატებით დაიწყო წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი. გუნდის მოთამაშეთაგან გამოირჩევიან ცენტრფორვარდი ფეჰთი, ბურხანი, ხალილი, ვაჰაპი, ისმაილი, მეკარე მიუმინი.

„ესქიშეჰირსპორი" პირველად მონაწილეობს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. მოსკოვის „დინამოსთან" შეხვედრამდე მან სძლია ფინეთის „მიკელის" — 0:0, 4:0.

„ვიტორია"

(სეტუბალი, პორტუგალია)

სიტყვა „ვიტორია" გამარჯვებას ნიშნავს და ქალაქ სეტუბალის ეს კლუბი ბოლო ხანს ამართლებს კიდეც თავის სახელწოდებას: პროვინციული ქალაქის წარმომადგენელი ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად იქცა პორტუგალიაში — საპრიზო ადგილი დაიკავა ქვეყნის ჩემპიონატში, ხოლო შარშან თასიც მოიპოვა.

„ვიტორია" საკმაოდ შეძლებული კლუბია და საშუალება აქვს, როგორც ეს პორტუგალიაშია საერთოდ მიღებული, შეიძინოს მოთამაშეები და მოიწვიოს ისეთი ცნობილი მწვრთნელი, როგორიცაა ხ. პედროტო (იგი ამავე დროს ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც გახლავთ). გუნდი შარშან უკვე მონაწილეობდა მაზრობათა თასის გათამაშებაში და ახლა კვლავ ამავე შეჯიბრებაში გამოდის. ტურნირის V შესარჩევ ჯგუფში „ვიტორია" ორჯერ შეხვდა საფრანგეთის „ნიმს". პორტუგალიელებმა შინ გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ხოლო სტუმრად დამარცხდნენ — 1:2. სწორედ ფრანგების მინდორზე გატანილმა ამ გოლმა მოუტანა მათ უპირატესობა.

სეტუბალის გუნდის წამყვან ძალას წარმოადგენს ჟ. ტორესი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გამოდიოდა ლისაბონის განთქმულ „ბენფიკაში" და 38-ჯერ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში. მისი თანამოგვარეა მეკარე ტორესი, რომელიც ბოლო დროს საუცხოოდ, სტაბილურად თამაშობს და დიდი ღვაწლი შეაქვს თავისი გუნდის წარმატებებში.

„ვიტორია" განსაკუთრებული სიძლიერით გამოდის თავის მინდორზე, სადაც მას მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერა აქვს.

„სტანდარდი"

(ლიეჟი, ბელგია)

ბელგიურ ფეხბურთს დიდი ხნის მანძილზე ჰყავდა ორი ლიდერი — „სტანდარდი" და „ანდერლეხტი". ეროვნული ნაკრებიც უმთავრესად ზემოხსენებული კლუბების საფუძველზე ყალიბდებოდა. მაგრამ უკვე მესამე წელია ეს მეტოქეობა „სტანდარდის" აშკარა უპირატესობაში გადაიზარდა. ლიეჟის ფეხბურთელები ზედიზედ ხდებიან თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები და ნაკრებშიც დომინანტის როლს ასრულებენ. ამ მოთამაშეებს საკმაოდ კარგად იცნობენ საერთაშორისო ფეხბურთში: პიო, ტისენი, ვან მური, დევალკი, ჟეკი, დიუპრე... გუნდს წვრთნის ფრანგი სპეციალისტი რ. ჰაპსი.

„სტანდარდის" მთავარ ძალას წარმოადგენს საუკეთესოდ ორგანიზებული, შეთამაშებული, გამოცდილი დაცვა და მეკარე პიო. იმისდა მიხედვით, თუ რა ძალისაა მეტოქე, ბელგიელები თამაშობენ 4 მცველით და 3 ან 4 ნახევარმცველით. აქ ცენტრალური ფიგურაა ვან მური, რომლის საფასურად „სტანდარდის" ხელმძღვანელობას გადახდილი აქვს 6 მილიონი ბელგიური ფრანკი (ბელგიაში ასეთ თანხად ჯერ არ უყიდიათ არც ერთი სხვა ფეხბურთელი). მისი თამაშის დონეზე დიდადაა დამოკიდებული გუნდის წარმატება. მის გარდა, ნახევარდაცვაში გამოჰყოფენ პილოს და სვენსონს (ეს უკანასკნელი ეროვნებით შვედია).

„სტანდარდის" თავდასხმის ხაზი ნამდვილი ინტერნაციონალური კრებულია. აქ გამოდიან ბელგიელი სემელინგი, იუგოსლაველი ტაკაჩი, შვედი იუჰანსონი და ჩეხოსლოვაკიელი ცვეტლერი. გუნდის ტაქტიკური მანერაა სწრაფი, ძლიერი კონტრიერიშები.

ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშების სტარტზე ბელგიელებმა ორჯერ დაამარცხეს ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი" — 2:0 და 3:2. ბურთები გაიტანეს ტაკაჩმა (2), ვან მურმა, სემელინგმა და პილომ.

„სტანდარდმა" 1959 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ნახევარფინალს მიაღწია და ასეთივე შედეგი აჩვენა 1966 წლის თასების მფლობელთა თასის ტურნირში. ბოლო 10 წლის მანძილზე ბელგიის ეს კლუბი ევროპული საკლუბო ტურნირების უცვლელი მონაწილეა.

უცხოეთის ფეხბურთის ფურცელი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

ჩეხოსლოვაკია

ჩემპიონატის ლიდერმა — „ვსს კოშიცემ" XI ტურში ფრედ ითამაშა „ტზ ტრინეცთან" (1:1) და I ადგილი დაუთმო ბრატისლავის „სლოვანს", რომელმაც შინ სძლია „ზვლ ჟილინას" — 5:1.

ტურის რეკორდი ტრნავის „სპარტაკმა" დაამყარა — საკუთარ მინდორზე ანგარიშით 7:0 დაამარცხა I ლიგის ახალბედა — ბრნოს „ზბროიოვკა".

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„სლოვანი"	11	28:8	18
„ვსს კოშიცე"	11	20:6	18
„დუკლა" (პრაღა)	11	26:14	15

ინგლისი

სეზონის დასაწყისი ინგლისის ერთ დროს საუკეთესო კლუბის — „მანჩესტერ იუნაიტედის" რენესანსით აღინიშნა. ბრიტანული პრესის აზრით, კვლავ ბრწყინვალედ თამაშობენ ბ. ჩარლტონი, ფორვარდები ბესტი, ლოუ, კიდი, ასტონი, გოულინგი. XII ტურში მანჩესტერელებმა ჰადერსფილდში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად ადგილობრივ „ჰადერსფილდ თაუნს" სძლიეს — 3:0.

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ლონდონის „არსენალმა", რომელმაც ტრავმების გამო სეზონის პირველ მატჩებში წამყვანი მოთამაშეები დაკარგა და რამდენიმე მატჩიც წააგო, შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. გასულ ტურში „არსენალმა" შინ სძლია „ნიუკასლ იუნაიტედს" (4:2) და V ადგილზე გადაინაცვლა.

„მანჩესტერ იუნაიტ."	12	27:13	19
„შეფილდ იუნაიტედი"	12	20:11	18
„მანჩესტერ-სიტი"	12	22:8	17

ესპანეთი

გრძელდება ლიდერობისთვის ბრძოლა „ფკ ვალენსიასა" და მადრიდის „რეალს" შორის. „ფკ მალაგა" შინ შეხვდა მადრიდის „რეალს" და მატჩის მიწურულამდე აგებდა ანგარიშით 0:1, მაგრამ მადრიდელთა მარცხენა გარემარბმა ბუენომ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და „რეალმა" ლიდერობა შეინარჩუნა.

„ფკ ვალენსიამ" ვიგოში სძლია ადგილობრივ „სელტას" — 3:1. „ფკ ბარსელონამ" სევილიაში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ბეტისთან" — 0:0.

„რეალი"	6	12:4	10
„ფკ ვალენსია"	6	9:3	10
„ფკ მალაგა"	6	9:5	8

შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა" VI ტურში უაღრესად ძნელი მატჩი მოიგო ედინბურგში ადგილობრივ „ჰიბერნიენთან" — 1:0. გოლის ავტორია ახალგაზრდა გლაზგოელი ფორვარდი დალგლიში.

„ფკ აბერდინმა" გასვლითი მატჩი მოუგო „ფკ კილმარნოკს" (3:0), ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა" შინ სძლია ედინბურგის „ისტ ფაიფს" — 3:0.

„ფკ აბერდინი"	6	16:1	11
„სელტიკი"	6	21:5	10
„ჰიბერნიენი"	6	10:4	9

ბელგია

VI ტურის ცენტრალური მატჩი ლიეჟში მოეწყო, სადაც ადგილობრივმა „სტანდარდმა" სძლია ბრიუსელის „ანდერლეხტს" — 4:0.

„სტანდარდი"	6	15:4	10
„რასინგ ვაიტი" (ბრიუს.)	6	7:3	10
„ფკ ბრიუჟი"	6	15:5	10
„იუნიონ სენ-ჟილუაზი"	5	4:3	7

ბულგარეთი

ჩემპიონატს ლიდერობს სოფიის „ლევსკი-სპარტაკი", რომელმაც 7 ტური დაუმარცხებლად ჩაატარა. მორიგი გამარჯვება სოფიელებმა პლევენში იზეიმეს, სადაც ადგილობრივ „სპარტაკს" სძლიეს — 3:0.

ცსკა შეხვდა სოფიის „აკადემიკს" და გაიმარჯვა — 3:2.

„ლევსკი-სპარტაკი"	7	19:2	13
ცსკა (სოფია)	7	19:7	12
„ბეროე" (სტარა ზაგორა)	7	14:8	12

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04920